ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia
სს "ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის
ქ.N19,
0186 თბილისი,
საქართველო

N 2336613
28.10.2021

ობიექტის დასახელება: სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი TAXID 202352514

მისამართი: თბილისი, ისნის რაიონი, 300 არაგველის ქ., №24

გაცნობებთ, რომ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ საქართველოს კანონის მე-80 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - „კომისია“) 2021 წლის 28 ივნისის #19 დადგენილებით დამტკიცებული ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესების 70-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვინაიდან თქვენი კომპანია არის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გამანაწილებელ ქსელთან მიერთებული მომხმარებელი და საკუთრებაში გაქვთ აღრიცხვის მოწყობილობა, ვალდებული ხართ გამანაწილებელი ქსელის წესების მოთხოვნათა დაცვით თქვენი კუთვნილი აღრიცხვის მოწყობილობები მფლობელობაში ან საკუთრებაში გადასცეთ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ (შემდგომში - „სისტემის ოპერატორი“).
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, კომისიის 2021 წლის 26 ოქტომბრის #46/9 გადაწყვეტილების შესაბამისად, 2022 წლის 1 აპრილამდე უზრუნველყოთ თქვენი კუთვნილი აღრიცხვის მოწყობილობების სისტემის ოპერატორისთვის მფლობელობაში ან საკუთრებაში გადმოცემის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება.
გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ სისტემის ოპერატორის მიერ მომხმარებლისთვის შესათავაზებელი, აღრიცხვის მოწყობილობების მფლობელობაში გადაცემის პირობების დამტკიცების შესახებ კომისიის 2021 წლის 26 ოქტომბრის #46/9 გადაწყვეტილების შესაბამისად, სისტემის ოპერატორისთვის გადასაცემი აღრიცხვის კვანძი უნდა აკმაყოფილებდეს სემეკის 2014 წლის 17 აპრილის #10 დადგენილებით დამტკიცებული „ქსელის წესებისა“ და საქართველოს სხვა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ 2022 წლის 1 აპრილამდე არ დასრულდება ხელშეკრულების გაფორმების პროცედურა და ვერ შევთანხმდებით აღრიცხვის მოწყობილობების გადმოცემასთან დაკავშირებით, სისტემის ოპერატორი გამანაწილებელი ქსელის წესების 70-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, იძულებული იქნება შეწყვიტოს იმ მომხმარებელთა ელექტროენერგიით მომარაგება, რომელიც გაჭგრძელებს მათ საკუთრებაში არსებული საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძების ექსპლუატაციის გაწევას.
დანართი 4 ფურცლად.

პატივისცემით,

გრიგოლ მამისეიშვილი

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“
დირექტორთა საბჭოს თავჯდომარე

შემსრულებელი: ცირა ხოფერია
მობ: 577 35 03 93